ფინანსური ანგარიში 2024 წლისთვის

1. შესავალი

სკოლის დასახელება: შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი, #20

მოსწავლეთა რაოდენობა: 800

სკოლის ფუნქციონირების დაწყება: 2002 წელი

შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი ფუნქციონირებს 2002 წლიდან და ვთავაზობთ ხარისხიან განათლებას 800 მოსწავლისთვის. ანგარიში მიზნად ისახავს სკოლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს 2024 წლისთვის, რათა მმართველმა გუნდმა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

2. შემოსავლების ანალიზი

ფინანსური სამსახური პასუხისმგებელია სკოლის შემოსავლების ბიუჯეტის დაგეგმვაზე, შესრულების კონტროლსა და მართვაზე. გასული წლის განმავლობაში, სკოლაში განხორციელდა კონკურენტული სწავლის საფასურის დაწესება, რამაც უზრუნველყო სტაბილური შემოსავლის წყარო. შემოსავლები ასევე მობულ იქნა ვაუჩერული დაფინანსებიდან, რაც საშუალებას აძლევს სკოლას შეინარჩუნოს ფინანსური მდგრადობა.

3. ხარჯების ანალიზი

სკოლის ფინანსურმა დეპარტამენტმა წარმატებით მოახდინა ფინანსური რესურსების ოპტიმიზაცია. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლების ხელფასების ეფექტურ მართვას, ქონების და აღჭურვილობის შეძენის ხარჯების კონტროლს, საკლასო ოთახების განახლებას, ახალი ავეჯის შეძენასა და სამასწავლებლო სივრცეების განახლებას.

გარდა ამისა, თანამშრომელთა მოტივაციისა და კმაყოფილების გასაზრდელად, ჩატარდა სამოქმედო გეგმაში ნახსენები ტრეინინგები, გადამზადებები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებები.

მოსწავლეთა მოტივაციისა და აკადემიური უნარების ამაღლების მიძნით, ჩატარდა სასკოლო ოლიმპიადები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებები.

4. მოგება და ზარალი (P&L)

ფინანსურმა დეპარტამენტმა მოამზადა დეტალური ფინანსური ანგარიშები და პროგნოზები, რაც ხელს უწყობს სკოლის ფინანსური სტრატეგიის განსაზღვრას. შემოსავლისა და ხარჯების მონაცემები უზრუნველყოფს სკოლის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას.

5. ბალანსის ანალიზი

ბალანსი ასახავს სკოლის აქტივებს, ვალდებულებებს და კაპიტალს. ფინანსურმა სამსახურმა შეძლო ფინანსური ნაკადების მართვა ისე, რომ სკოლა მუდმივად ინარჩუნებს პოზიტიურ ბალანსს, რაც ხელს უწყობს მის მდგრად განვითარებას.

6. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი

ფინანსური სამსახური წარმატებით მართავს სკოლის ფულად ნაკადებს, უზრუნველყოფს ოპერაციული, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებიდან მიღებული ფულადი ნაკადების ოპტიმალურ განაწილებას, რაც უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესების წარმატებით განხორციელებას.

7. ფინანსური მაჩვენებლები

სკოლის ფინანსური მდგომარეობა და სტაბილურობა იძლევა საშუალებას, რომ შემდგომი განვითარების და ინვესტიციების გეგმა სწორად დაიგეგმოს. ფინანსურმა სამსახურმა შეიმუშავა და წარმატებით განახორციელა სკოლის ბიუჯეტის შესრულების კონტროლი.

8. რეკომენდაციები და დასკვნები

ფინანსური დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ზუსტი დაგეგმვა და მართვა განაპირობებს სკოლის მდგრად ზრდას და სტაბილურობას. 22-წლიანი გამოცდილების და დაგროვილი ცოდნის საფუძველზე, სკოლა აგრძელებს პოზიციონირებას როგორც წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მზად არის გამოწვევების დასაძლევად და განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად.